საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

ბრძანება №01-42

ქ. თბილისი 24 აპრილი 2015 წელი

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" ცესკოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის №01-09 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 აპრილის N01/28601 (ცესკოში რეგისტრაციის N522, 24/04/2015) წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" ცესკოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 თებერვლის №01-09 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1 ბრძანების პირველი პუნქტის 1.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1 სოფიო სიჭინავა – ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი - ჯგუფის ხელმძღვანელი;"

1.2 ბრძანების პირველი პუნქტის 1.4. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.4 ქეთევან ვარდანაშვილი – ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის სპეციალისტი (II კატეგორია) - ჯგუფის წევრი;"

1.3 ბრძანების მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.16 ქვეპუნქტი:

„2.16 ზაზა ჯანაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;"

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია * 203851509 *